პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი

№ 274 (12786) | კვირა, 24 ნოემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გორის ბამბეულის კომბინატის ლიანა აფრიამაშვილის კომკავშირული ბრიგადა, რომელიც წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას. ფოტო შ. კუკულავასი.

მეცნიერება—ავანგარდში!

ამ თვალ ჩვენს დიად სოციალისტურ საშობლოში სოფლად თუ ქალაქად, საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში თუ ფაბრიკებსა და ქარხნებში, შინ თუ გარეთ, — გაისმის სიტყვა ქიმია. და არა მარტო სიტყვა გაისმის! — კეთდება უდიდესი საქმეები დიდი ქიმიის შესაქმნელად, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანში ქიმიის მტაცეცედ დასამკვიდრებლად. ახლა უმცროსი კლასების მოსწავლეებმაც კი იციან, რომ ქიმიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ცხოვრებაში. ქიმია ისე არასოდეს არ გამხდარა, თუ შეიძლება ითქვას, ეპოქალურ მეცნიერებად, როგორც იგი გახდა ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში. ეს განაპირობა ქიმიის, როგორც მეცნიერების, არა მარტო კავშირმა ცხოვრებასთან, არამედ მისმა სულ უფრო პროგრესულად მზარდმა შეჭრამ ცხოვრებაში, მისმა სულ უფრო და უფრო ფართოდ დამკვიდრებამ ჩვენს მიწაზე, ჩვენს ყოფაში.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ამხანაგმა ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა მისცეს დასაბამი ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად დიდ ქიმიას. განუზომელია პარტიის ზრუნვა ქიმიის განვითარებისათვის. ჯერ კიდევ 1958 წლის ივნისში თავის სპეციალურ პლენუმზე განიხილა ქიმიის განვითარების საკითხი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. არა მარტო ქიმიკოსებს, მეცნიერებს, არამედ მთელ საბჭოთა ხალხს ღრმად დაახსომდათ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები: „პირველ რიგში უნდა უზრუნველვყოთ ქიმიური მრეწველობის უპირატესი განვითარება, რატომ უნდა გავაკეთოთ ეს? იმიტომ, რომ ქიმიის საშუალებით უფრო სწრაფად და ადვილად წყდება კომუნისტური მშენებლობის ყველაზე საარსებო ამოცანები: შრომის ნაყოფიერების გადიდება, საზოგადოებაში სიმდიდრის სწრაფი ზრდა, კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საქონლის სიუხვის შექმნა“.

ამ მითითების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის, პარტიის მიერ ქიმიის დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაში. ძლავრად მკვიდრდება ჩვენში დიდი ქიმია. მისი ერთერთი ცენტრი შეიქმნა რუსთავი თავისი ცნობილი კაპროლაქტამით. დიდი ქიმიის ობიეექტები გვაქვს რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. მილიონობით მანეთის ეკონომიას აძლევენ ქვეყანას მოწინავე საწარმოები და ობიექტები, რომლებმაც ქიმიის დიდი მიღწევები დანერგეს.

ის, რომ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს თავის მომავალ — დეკემბრის პლენუმზე კვლავ გააქვს განსახილველად ქიმიის განვითარების საკითხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს რაზმავს ახალი შრომითი აღმავლობისათვის. მშრომელები ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ წინასაპლენუმო სოციალისტურ შეჯიბრებაში. თვალსაჩინოა საქართველოს ქიმიკოს მეცნიერთა წვლილი და კიდევ უფრო ფართოა მათი მომავლის პერსპექტივები დიდი ქიმიისათვის ბრძოლაში.

საკმაოდ იგრძნობა და ხელშესახებია შედეგები იმ მუშაობისა, რასაც ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი.

მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აქვთ, საერთოდ, პრაქტიკოსებსა და ქიმიკოს მეცნიერებს. ამის დამადასტურებელია თუნდაც მეტალურგიული ქარხნის კოქსის აირის ბაზაზე აშენებული რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომელიც უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის აზოტოვანი სასუქებით უზრუნველყოფის საქმეში. აზოტოვანი სასუქების რთულ ტექნოლოგიაში მეცნიერთა და ქიმიკოსთა შემოქმედებითი ურთიერთობით შეტანილმა მრავალმა სიახლემ გამოყენება ჰპოვა საბჭოთა კავშირის მრავალ ქარხანაში. პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებაში.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველი — მინერალური სასუქების წარმოების გაფართოება — მოითხოვს ჩვენი მეცნიერი ქიმიკოსების უაღრესად აქტიურ, ქმედითს მუშაობას. შესაბამისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა უნდა ეძებონ ახალი რეზერვები, წამოაყენონ ახალი საყურადღებო წინადადებანი, ბოლომდე მიჰყვნენ თავიანთ მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენათა და წინადადებათა დანერგვას პრაქტიკაში, ეფექტური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო ქიმიის განვითარებაში, რომელსაც ფართო გზა ეხსნება.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ქიმიისა და აგროქიმიის კათედრებმა, მათმა მეცნიერებმა ბევრი კარგი საქმე გააკეთეს ქიმიის განვითარებისათვის. ეს ინსტიტუტები და ქიმიის ფაკულტეტების მქონე სხვა უმაღლესი სასწავლებლები განსაკუთრებით უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ რესპუბლიკის მომავალ დიდ ქიმიას მოუმზადონ მეცნიერებას ღრმად დაუფლებული, პრაქტიკული შრომისათვის მომზადებული ახალგაზრდა კადრები.

დიდი ქიმია ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრი ნაბიჯით მიდის წინ და ფართოდ შლის მხრებს. ამ საქმის ავანგარდში ქიმიკოსი მეცნიერებიც უნდა იყვნენ, როგორც ახლისა და პროგრესულის მაძიებელნი.

საწარმოო და მეცნიერული წარმატებებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს! — ასეთია ამოცანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

ზეგეგმითი ბარიტი—ქიმიურ მრეწველობას

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის ბარიტის ქარხნის კოლექტივმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მუშაობის დაწყების მოახლოება სასახელო გამარჯვებით აღნიშნა: 20 ნოემბრისათვის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით შეასრულა შვიდწლედის მეხუთე — 1963 წლის გეგმა და ასობით ზეგეგმითი ტონა ბარიტი მისცა ნავთობის მრეწველობას და დიდ ქიმიას.

ქარხნის კოლექტივმა გეგმით გათვალისწინებულზე 3 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, 1,2 პროცენტის გადამეტებით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და 138.000 მანეთი მოგება მისცა საწარმოს.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას და ქიმიურ მრეწველობას გადასცეს ათასობით ტონა დაფქული ბარიტი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის მკვლელობა

ბ-ნ ლინდონ ბ. ჯონსონს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ვაშინგტონი, თეთრი სახლი.

დიდად დამამწუხრა ცნობამ, რომ ტრაგიკულად გარდაცვალა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი.

ჯ. ფ. კენედის სიკვდილი თავზარს სცემს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობის საქმე.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავაზაკური მკვლელობა იმ დროს, როცა მშვიდობისმოყვარე ხალხთა მეცადინეობის შედეგად დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ნიშნები და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივა, საბჭოთა ადამიანების გულისწყრომას იწვევს იმათ მიმართ, ვინც ეს საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა.

ჩემს მეხსიერებაში მუდამ დარჩება პირადი შეხვედრები პრეზიდენტ ჯ. ფ. კენედისთან, როგორც ფართო შეხედულებათა მოღვაწესთან, რომელიც რეალურად აფასებდა ვითარებას და ცდილობდა გამოენახა გზები, რათა მოლაპარაკების საშუალებით გადაჭრილიყო საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ახლა თიშავენ მსოფლიოს.

საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი იზიარებენ ამერიკელი ხალხის მწუხარებას ამ დიდი დანაკლისის გამო და გამოთქვამენ იმედს, რომ სადავო საკითხების გადაჭრის ძიება, რაშიც თავისი დიდი წვლილი შეიტანა პრეზიდენტმა ჯ. ფ. კენედიმ, გაგრძელდება მშვიდობის ინტერესებისათვის, მთელი კაცობრობის საკეთილდღეოდ.

მიიღეთ, ბ-ნო პრეზიდენტო, ჩემი პირადი სამძიმარი.

ნ. ხრუშჩოვი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 23 ნოემბერი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს

ბ-ნ ლინდონ ბ. ჯონსონს

ვაშინგტონი, თეთრი სახლი.

ეს-ეს არის შევიტყვე, რომ ავაზაკურად მოკლეს პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი. დიდად დამამწუხრა ამ ცნობამ. საბჭოთა ადამიანები იზიარებენ ამერიკელი ხალხის მწუხარებას მძიმე დანაკლისის — ძალღონით აღსავსე ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ტრაგიკული სიკვდილის გამო.

გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ.

ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი 1963 წლის 23 ნოემბერი.

ქ-ნ ჭაკლინ კენედის

ვაშინგტონი, თეთრი სახლი.

პირადი ღრმა მწუხარების გრძნობით შევიტყე, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თქვენი მეუღლე — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი.

ყველა, ვინც კი იცნობდა კენედის, დიდ პატივს სცემდა მას, და მასთან შეხვედრები სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ და გულითადად თანაგიგრძნობთ თქვენს მძიმე მწუხარებაში.

ნ. ხრუშჩოვი.

1963 წლის 23 ნოემბერი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ დინ რასკს

ვაშინგტონი.

გთხოვთ მიიღოთ, ბატონო სახელმწიფო მდივანო, ჩემი ღრმა სამძიმარი იმის გამო, რომ მკვლელის ხელით ტრაგიკულად დაიღუპა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი.

გამოვთქვამ იმედს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმე, „რაც იმით დაიწყო, რომ დიდო მოსკოვის ხელშეკრულება, რომელსაც დიდად აფასებდა განსვენებული პრეზიდენტი, გაგრძელდება, და ეს დაღუპულის საუკეთესო ხსოვნა იქნება.

ა. გრომიკო.

1963 წლის 23 ნოემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ა. გრომიკო

ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო 23 ნოემბერს დილით ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს მოსკოვში, ბ-ნ ფ. კოლერს და ღრმა სამძიმარი გამოუცხადეს საბჭოთა მთავრობის, საბჭოთა ხალხისა და პირადად თავიანთი სახელით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ჯონ ფიტცჯერალდ კენედის ტრაგიკული სიკვდილის გამო. (საკადესი).

ქ-ნ ჭაკლინ კენედის

ვაშინგტონი, თეთრი სახლი.

თავზარდაცემული თქვენი ქმრის — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ ფ. კენედის ტრაგიკული დაღუპვის გამო ამ მწუხარე უამს გულწრფელ სამძიმარს გიცხადებთ და თანაგიგრძნობთ თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს.

ნინო პეტრეს ასული ხრუშჩოვა.

1963 წლის 23 ნოემბერი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ დინ რასკს

ვაშინგტონი.

გუდაპეშტი, 22 ნოემბერი. (საკადესი). დღეს ბუდაპეშტიდან სამშობლოში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მეთაურობით. დელეგაცია, რომელიც აქ იმყოფებოდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით, გაეცნო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პარტიული მუშაობის გამოცდილებას, ითვალისწინა უნგრეთში. დელეგაცია მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარემ იანოშ კადარმა.

ვოგზალზე საბჭოთა სტუმრები გააცილეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დეკე ნემეშმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა

...ს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა რეჟე ნიერშმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის მდივანმა დეკე კიშმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა უნგრეთში გ. ა. დენისოვმა.

ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

თეირანი, 23 ნოემბერი. (საკადესი). დღეს დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი ირანში.

დილაადრიან ირანის შაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და დედოფალი მივიდნენ გოლესტანის სასახლეში, რათა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი მეუღლე გაეცილებინათ მეჩრაბადის აეროდრომზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა, ირანის შაჰმა, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანმხლებმა პირებმა მანქანებით ჩაიარეს საბჭოთა კავშირისა და ირანის ალმებით მორთულ ქუჩებში. ირანის დედაქალაქის მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა საბჭოთა სტუმრების გასაცილებლად. მეჩრაბადის აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და ირანის ჰიმნები.

ლ. ი. ბრეჟნევი გულთბილად გამოეთხოვა შაჰს, პრემიერ-მინისტრს და მინისტრებსა და დიპლომატურ წარმომადგენლობათა მეთაურებს.

ნახევამდის, ეუბნება იგი შაჰსა და პრემიერ-მინისტრს, იმედი მაქვს მალე გნახავთ მოსკოვში.

მოსკოვი, 23 ნოემბერი. (საკადესი). დღეს თეირანიდან მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ. ლ. ი. ბრეჟნევი ირანში იმყოფებოდა მეგობრულ ოფიციალურ ვიზიტად შაჰინშაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევის მიწვევით.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად საბჭოთა კავშირში დაბრუნდნენ მისი თანმხლები პირნი მოგზაურობის დროს ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კახაროვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ნ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლავინი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ ამხანაგები გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ფ. ს. პოლიანსკი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, ი. ვ. ანდროპოვი. პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი და სხვები.

ჩვენს ქვეყანაში

დიდი წარმატება

ვილნიუსი, 21 ნოემბერი. (საკადესი). ლიტვის მეჟარხლეებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, დიდ შემოქმედებითს გამარჯვებას მიაღწიეს. ვადამდე შესრულებულია სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის წლიური გეგმა. მიმდებ პუნქტებში მიტანილია 524 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი. ამდენი ჭარხალი რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ არასოდეს არ დაუმზადებიათ. დამზადება გრძელდება.

ზეიმი ხიბინში

მურმანსკი, 23 ნოემბერი. (საკადესი). ხიბინში სრულიად საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობაზე 22 ნოემბერს დიდი ზეიმი გაიმართა. კომბინატ „აპატიტის“ ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკის მეორე რიგმა გამოუშვა პირველი პროდუქცია — აპატიტის კონცენტრატი — ძვირფასი ნედლეული ფოსფორული სასუქებისათვის.

საწარმოში გადამუშავდება რამდენიმე მილიონი ტონა აპატიტის მადანი — ნაყოფიერების ქვა. კომბინატის მშენებლები, მემონტაჟეები და ექსპლოატაციის მუშაკები, მუშაობენ ისე, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული პლენუმის გახსნისათვის ახალი ფაბრიკიდან ქიმიური კონცენტრატის პირველი ეშელონები გაიგზავნოს.

ახალი გროშურა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავი“. ამ ბროშურაში დაბეჭდილია ნ. ვ. პოდგორნის მოხსენება, რომელიც გაკეთა საზეიმო სხდომაზე კრემლის ყრილობათა სასახლეში 1963 წლის 6 ნოემბერს. (საკადესი).

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი

23 ნოემბერს თბილისში, კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სამეურნეო მუშაკებმა, სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა, პროფკავშირულმა აქტივებმა.

პლენუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ა. დოლიძის მოხსენება — „სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XIII ყრილობის მედგგები და რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები“.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: საქართველოს ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ტყეშელაშვილი, საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ს. ვ. ხალაშვილი, თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის მსხმელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ა. გოლუბევი, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანი გ. ზ. კიკნაძე, გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. პ. დაუშვილი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. შარაძენიძე, აფხაზეთის პროფკავშირთა კურორტების ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. გ. ოგურცოვა-გეთია, რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. პ. წიქორიძე, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი-მოტორისტი, სსრ კავშირის პროფკავშირების XIII ყრილობის დელეგატი ო. ვ. გუბიევა, ამერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების რკინიგზელთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ვ. ნეფარიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა.

მოხსენების გამო პლენუმმა მიიღო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეული არიან ამხანაგები მ. ი. ჯაში და ო. ს. ცანავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ გ. ა. გეგეშიძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ თ. გ. ბადურაშვილმა. (საკადესი).

საბჭოთა კავშირ-დანიის სავაჭრო ურთიერთობის გამო

22 ნოემბერს მოსკოვში დაიდო შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და დანიას შორის 1964-69 წლების საქონელბრუნვის შესახებ. საბჭოთა კავშირ-დანიის ვაჭრობაში ეს პირველი ექვსი წლის შეთანხმება ითვალისწინებს ამ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვის შემდგომ განვითარებას. წინა ექვსი წლის პერიოდთან შედარებით დანიასთან საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მოცულობა განზრახულია გაიზარდოს დაახლოებით 60 პროცენტით.

საბჭოთა კავშირი დანიას მიაწვდის ქოქსს, ქვანახშირს, ნავთობპროდუქტებს, ფეროშენადნობებს, ფირად ლითონებს, დახერხილ მასალას, ფანერას, სხვადასხვა სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას, ხოლო დანია სსრ კავშირს მიაწვდის ვემებს, მოწყობილობას კვების მრეწველობისათვის, ელექტრონულ აპარატურასა და ხელსაწყოებს, ხორცს, ყველს, რძის პროდუქტებსა და სხვა საქონელს. (საკადესი).

ჰეკერუპის გამგზავრება

23 ნოემბერს მოსკოვიდან გაემგზავრა დანიის საგარეო საქმეთა მინისტრი პერ ჰეკერუპი მეუღლითურთ, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოწვევით.

საბჭოთა დიპლომატი გაათავისუფლეს

იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ განახორციელა საბჭოთა დიპლომატების განთავისუფლებისათვის, რომლებიც კონგოს საიდუმლო პოლიციამ დააპატიმრა ლეოპოლდვილში, კონგოში აკრედიტებული სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ბ. ს. ვორონინი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 22 ნოემბერს და იმავე დღეს საღამოს იგი თვითმფრინავით ჩამოვიდა მოსკოვში.

ატაში ი. ნ. მიაკოტნიხის ადგილსამყოფელის შესახებ ახალი ცნობები არ არის.

ი. მიაკოტნიხი და ბ. ბეკნაზარ-იუზბაშევი გაათავისუფლეს

საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა გამო, 23 ნოემბერს პატიმრობისაგან გაათავისუფლეს სსრ კავშირის კონგოს საელჩოს ატაშე ი. ნ. მიაკოტნიხი, რომელიც 19 ნოემბერს დააპატიმრა კონგოს საიდუმლო პოლიციამ. იგი სამშობლოში გამოემგზავრა.

პრესის სააგენტო „ახალი ამბების“ კორესპონდენტი კონგოში ბ. გ. ბეკნაზარ-იუზბაშევი აგრეთვე განთავისუფლებულია პატიმრობისაგან.

(საკადესი).

გენერალ ა. ნასუტიონის გამგზავრება

მოსკოვი, 23 ნოემბერი. (საკადესი). ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი გენერალი ა. ნასუტიონი, რომელიც სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში, დღეს მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

ზეიმი ბრიტანეთში

ლონდონი, 23 ნოემბერი. (საკადესი). ინგლისელ ტორიებს, ლეიბორისტებს, ლიბერალებს, ეროვნულ-სოციალისტებსა და ინგლისელ ეკონომისტებს, ინგლისელ ინტელიგენციას, ინგლისელ ბანკირებსა და ინდუსტრიულ-ფინანსურ ოligარქიას ეზეიმებოდა ინგლისელ ბანკირ ალეკ ედუარდ ჰერლინგის ... ...

პარტიული ცხოვრება

ჩრდილები მიღწევათა ფონზე

• ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიულ კონფერენციაზე •

მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნის შესახებ. ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის შექმნის დღიდან კი უფრო ნაკლები დრო გავიდა. მიუხედავად ამისა, პარტიულმა კომიტეტმა უკვე დააგროვა მოღვაწეობის ერთგვარი გამოცდილება.

როგორ ვახორციელებთ ამ პლენუმის გადაწყვეტილებებს? როგორია წინადადებანი ჩვენი მოსავალი მუშაობისათვის? — ეი ცხაკაიას საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის მეორე კონფერენციის მუშაობის შინაარსი, ეი საკითხები, რომელთა ირგვლივ წარმართა კონფერენციის დელეგატთა გულისყური.

მომხსენებელმა, საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ნ. შონიამ და კამათის მონაწილე დელეგატებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვნად ამაღლდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ისინი უფრო მოფიქრებულად წარმართავენ სოფლის მშრომელთა შემოქმედებითს ენერგიას მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის.

ეს კი განპირობა იმან, რომ პარტიული კომიტეტი ახლოს მივიდა წარმოებასთან, თავის მოღვაწეობაში სულ უფრო ნოობა ყველგან ერთნაირი როდია, ყველა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს.

ამის ნათელ მაგალითს, თუ რა დადებით შედეგს იძლევა პარტიული ხელმძღვანელობის მიახლოება წარმოებასთან, ცხადყოფს ახეთი ფაქტები: კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საწარმოო სამმართველოს მეჩაიეებმა მიმდინარე წელს 9.680 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 10.978 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოსავლისათვის არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად, წინა წელთან შედარებით სამინდის მოსავლიანობაც გაიზარდა. სამმართველოს მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის სამინდის მიყიდვის გეგმა, მიჰყიდეს 3.005 ტონა მარცვალი.

მეჩაიეებსა და მესამინდეებს წელს არც მეცხოველეები ჩამორჩენენ. გადაჭარბებით შესრულდა პირუტყვის საერთო ხელადობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები.

მაგრამ ამასთანავე გაწეული მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველადი პარტორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა ყველგან ერთნაირი როდია, ყველა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს როდი მიხწევდა პარტიული კომიტეტის მზრუნველი ხელი.

მაგალითად, ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ნაყოფიერად იმუშავეს ფოცხოს, ხაბუმის, უშფათის, ლესიჭინის, მუხურის კოლმეურნეობათა გამგეებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ ხომ არიან ეკონომიურად ხუსტი, ჩამორჩენილი მეურნეობები? აი ისინიც: თეკლათის, ზხეფის, ლეძაძამის, ჭალადიდის, ნაკიანის, ციხეთის და ნარაქონის კოლმეურნეობები. მათ წელსაც ცუდად იმუშაეს.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ საწარმოო სამმართველოს მეურნეობათა მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ გამოუყენებელია. ათასობით ჰექტარი ჯაგნარით ან ბაობებით არის დაფარული. ადამიანის მზრუნველ ხელს ელის კოლხიდის ზონაში 5 ათას ჰექტარზე მეტი მიწა.

— საჭირო ტექნიკის უქონლობა ნაშუალებას არ გვაძლევს სამელიორაციო სამუშაოები ვაწარმოოთ, ცუდად მუშაობს „კოლხიდმშენი", — უკმაყოფილოდ განაცხადეს დელეგატებმა.

საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. ბაღათურიამ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში „სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხებს. ზოგან ტექნიკას ეფექტურად ვერ იყენებენ.

დელეგატების სიტყვებმა ცხადყო, რომ ჩაის, მარცვლეულის და სხვა კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის ბევრი გამოუყენებელი რეზერვი და საშუალებაა. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ მოწინავე გამოცდილების სკოლები ბევრგან ფორმალურად არსებობენ, პირველადი პარტორგანიზაციები ზერელედ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ სამმართველოს მეურნეობებში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა იდეოლოგიური ცხოვრება. მაგრამ მაინც ამ მხრივ მუშაობა დამაკმაყოფილებელი ვერ არის. რაიონის პროკურორომა ე. საპაპიამ და მილიციის განყოფილების უფროსმა ა. ბედიამ მოიყვანეს უსაქმურობის, ქურდობის, მექრთამეობის და სხვა დანაშაულობათა დამაფიქრებელი მაგალითები.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის განყოფილების გამგე ამხ. დ. მაჭულაძე.

კონფერენციამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის და აირჩია საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატები.

ბ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედის მკვლელობა

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი დალასიდან იუწყება:

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი და ტეხასის შტატის გუბერნატორი ჯონ კონელი დაეცნენ მკვლელის ტყვეებით განეგმირულნი იმ მომენტში, როცა ისინი დღეს ღია მანქანით მიდიოდნენ დალასის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაში. თავმდამსხმელმა საზეჯერ გაისროლა, ერთი ტყვია თავში მოხვდა პრეზიდენტს.

პრეზიდენტი და გუბერნატორი დაუყოვნებლივ მიიყვანეს ჰოსპიტალში.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა (ტეხასის) ალბერტ ტომასმა განაცხადა, რომ როგორც ჰოსპიტალში უთხრეს, პრეზიდენტი ჯერჯერობით ცოცხალია, მაგრამ „ძალიან მძიმე" მდგომარეობაშია.

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ეს ეს არის ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი გარდაიცვალა ჰოსპიტალში თავდასხმის შემდეგ, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მოაწყვეს უკიდურესმა მემარჯვენე ელემენტებმა.

ჯონ ფიტცჯერალდ კენედი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი, რომელიც ავიზაკურად მოკლეს 22 ნოემბერს, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. იგი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ჯ. კენედი დაიბადა 1917 წლის 29 მაისს ბრუკლინში (მასაჩუსეტსის შტატი). 1940 წელს დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი.

მეორე მსოფლიო ომის დროს კენედი სამხედრო-საზღვაო ფლოტში მსახურობდა. იგი მძიმედ დაიჭრა.

დემობილიზაციის შემდეგ 1945 წელს ერთ ხანს ჟურნალისტად მუშაობდა, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ საქმიანობას მიჰყო ხელი. 1946 წელს აირჩიეს წარმომადგენელთა პალატის წევრად მასაჩუსეტსის შტატისაგან. 1953 წლიდან კენედი სენატორია ამავე შტატისაგან.

1960 წელს კენედი პრეზიდენტობის პოსტის კანდიდატად დასასახელ. დემოკრატიულმა პარტიამ და ნოემბერში არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად, გაიმარჯვა, რა არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატ რ. ნიქსონზე.

კენედიმ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი დაიკავა 1961 წლის 20 იანვარს.

კენედი რეალურად მოაზროვნე, ფართო პოლიტიკური თვალთახედვის სახელმწიფო მოღვაწე იყო. მას შეგნებული ჰქონდა, რომ საჭიროა მშვიდობიანი მოწესრიგება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ხაზს უსვამდა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მშვიდობის შენარჩუნებისათვის, რაც შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ეკისრებათ.

თავის სიტყვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVIII სესიაზე მიმდინარე წლის 20 სექტემბერს კენედიმ განაცხადა: „ეს პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ ჩვენმა ორმა ქვეყანამ ნაკლები ყურადღება მიაქციოს ჩვენს უთანხმოებებს და მეტი ყურადღება იმას, რომ შესაძლებელია ამ უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგება".

კენედის დიდი დამსახურება მიუძღვის იმ მხრივ, რომ დაიდო მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. იგი დიდ ენერგიას ახმარდა იმას, ეებას, ამერიკელი ხალხის პროგრესული ფენების მხარდაჭერითა და პოპულარობით სარგებლობდა, ამავე დროს „ცოფიან" რეაქციონერთა ბოროტ თავდასხმებს იწვევდა.

ტერორისტული აქტი კენედის წინააღმდეგ ჩადენილია იმ დროს, როცა პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურობდა პოლიტიკური გამოსვლებისათვის. ეს გამოსვლები უკავშირდებოდა პრეზიდენტის არჩევნების საარჩევნო კამპანიას, რაც ფაქტიურად უკვე დაიწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. არჩევნები უნდა მოეწყოს მომავალი წლის ნოემბერში.

საბჭოთა ხალხი იზიარებს ამერიკელი ხალხის ღრმა მწუხარებას პრეზიდენტ კენედის ტრაგიკული გარდაცვალების გამო.



გიოგრაფიული ცნობა

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტ ლ. ჯონსონმა იკისრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რწმუნებანი

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ჯ. კენედის გარდაცვალებისთანვე ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა იკისრა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ყველა კონსტიტუციური რწმუნებანი.

ლინდონ ჯონსონი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ მ. კილდეფმა დალასში (ტეხასის შტატი) კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი გარდაიცვალა 14 საათზე ვაშინგტონის დროით (22 საათზე მოსკოვის დროით).

ვაშინგტონში თეთრ სახლზე გლოვის ნიშნად დახრილია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ალამი.

კონსტიტუციის შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდა ვიცე-პრეზიდენტი ლ. ჯონსონი.

ლინდონ ჯონსონმა ოფიციალურად დადო ფიცი როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა.

ჯონსონის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი დალასიდან (ტეხასი) თვითმფრინავით ჩამოვიდა ენდრიუსის (ვაშინგტონის მახლობლად) სამხედრო-საჰაერო ბაზაზე. იმავე თვითმფრინავით ჩამოასვენეს ჯ. კენედის ცხედარი.

ენდრიუსში ჩამოსვლისას ჯონსონმა განაცხადა, რომ ეს მწუხარების ჟამია მთელი ხალხისათვის. „ჩვენ უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ, — თქვა მან, — ჩემთვის ეს დიდი პირადი ტრაგედიაა. მე ვიცი, რომ მთელი მსოფლიო იზიარებს ქალბატონი კენედისა და მისი ოჯახის მწუხარებას".

ამერიკას თავზარი დასცა პრეზიდენტის მკვლელობამ

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). შეერთებულ შტატებს თავზარი დასცა პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობამ.

პრეზიდენტი სასიკვდილოდ დაჭრეს ფიფში მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანის გასროლით და ოცდაათი წუთის შემდეგ, 14 საათზე ნიუ-იორკის დროით, გარდაიცვალა ქალაქ დალასის (ტეხასის შტატი) ჰოსპიტალში. როგორც სააგენტოების ცნობებიდან ჩანს, მკვლელს უსვრია მეხუთე თუ მეექვსე სართულის ფანჯრიდან, როცა პრეზიდენტი ღია მანქანით მიუახლოვდა შენობას, სადაც მას სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დალასის 250 ათასი მცხოვრები, რომლებიც გამოვიდნენ პრეზიდენტის მისასალმებლად, ამ დროს ქუჩაში იყო.

როგორც იუწყებიან, ორი ტყვიით მკერდში მძიმედ დაჭრეს შტატის გუბერნატორი კონელი, აგრეთვე მოკლეს ადგილობრივი პოლიციელი.

სააგენტოები იუწყებიან იმ პირის დაპატიმრებას, რომელზეც ეჭვი მიიტანეს, რომ თავს დაესხა პრეზიდენტს. არავითარი ოფიციალური ცნობა პრეზიდენტის მკვლელობის მოტივების შესახებ ჯერ არ ყოფილა.

მაგრამ დალასში მყოფი კომენტატორები ამ დანაშაულს პირდაპირ უკავშირებენ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების საქმიანობას. დალასი ამ ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია.

სააგენტოების ცნობით, სიტყვაში, რომელიც პრეზიდენტ კენედის უნდა წარმოთქვა საუზმეზე და რომლის ტექსტი მას ჯიბეში ჰქონდა, იგი გმობდა თავის ულტრაკონსერვატიულ მოწინააღმდეგეებს.

ამერიკა გლოვობს

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები გლოვობენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მკვლელობასთან დაკავშირებით თეატრებმა გააუქმეს სპექტაკლები. სარეკლამო ნათურები ბროდვეიზე ჩამქრალია, სატელევიზიო სადგურებმა შეწყვიტეს ყველა კომერციული გადაცემა. გაუქმებულია სასპორტო ასპარეზობანი და შეჯიბრებანი. საფონდო ბირჟა დაიხურა რამდენიმე წუთის შემდეგ, როგორც კი მოვიდა პირველი ცნობა პრეზიდენტზე თავდასხმის შესახებ, მაგრამ ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში კი აღინიშნა აქციების ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი დაცემა.

ვაშინგტონი, 23 ნოემბერი. (საკდესი). თეთრ სახლზე დახრილია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალამი. დედაქალაქი, ისევე როგორც მთელი შეერთებული შტატები, გლოვობს. ქალაქ დალასში ატეხილმა სროლამ თავზარი დასცა ამერიკის საზოგადოებრიობას. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი მოკლეს ამ ქვეყნის სამხრეთში, რასისტებისა და უკიდურესი მემარჯვენე ექსტრემისტების ბუნაგში, რომლებიც გაფფრებულ წინააღმდეგობას უწევენ პრეზიდენტს ყოველ ღონისძიებას — აღმოეფხვრა ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებების თუნდაც ყველაზე ალმაშფოთებელი დარღვევები.

გამოდის გაზეთების სპეციალური გამოშვებანი დიდი სათაურებით. განუწყვეტლივ აწარმოებს გადაცემას რადიო და ტელევიზია. დეტალურად აშუქებენ საზარელ დანაშაულს, გამოთქვამენ თანაგრძნობას, დაწვრილებით აღწერენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მკვლელის ძებნას, რომელიც დაახლოებით ექვსი კილომეტრით არის დაშორებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დაღუპვის ადგილიდან. ლი ოსვალდს ბრალად ედება აგრეთვე პოლიციელის მოკვლა.

ოსვალდის თითქმის ათი საათის განუწყვეტელი დაკითხვის შემდეგ, რასაც პოლიციის უბანში აწარმოებდნენ პოლიციელები და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები, მას წაუყენეს პრეზიდენტის მკვლელობის ოფიციალური ბრალდება. შემდეგ ოსვალდი კორესპონდენტებს წარუდგინეს. ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტთა ცნობით, ოსვალდი ჯიუტად უარყოფს თავის მონაწილეობას მკვლელობაში.

დალასის სოლოქო პროკურორმა პენრი უეიდმა უარი თქვა ეპასუხა კორესპონდენტთა იმ კითხვაზე, იყო თუ არა ვინმეს თითების ანაბეჭდი ზაშხანაზე, რომლითაც, როგორც ვარაუდობენ, მოკლულია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტი ლინდონ ბ. ჯონსონი და პრეზიდენტ კენედის ქვრივი ჯონსონის მიერ ფიცის მიღების შემდეგ.

ლინდონ ჯონსონი

გიოგრაფიული ცნობა

ლინდონ ჯონსონი დაიბადა 1908 წლის 27 აგვისტოს ქალაქ სტონეულის (ტეხასის შტატი) მახლობლად.

განათლება მიიღო სამსწავლებლო კოლეჯსა და იურიდიულ სკოლაში. 1930-32 წლებში მასწავლებლად იყო ჰიუსტონის (ტეხასის შტატი) ერთ-ერთ სკოლაში.

შემდეგ იყო კონგრესმენ რ. კლებერგის მდივანი და ტეხასის შტატის ახალგაზრდობის საკითხთა სამმართველოს დირექტორი.

1937 წელს აირჩიეს ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატიული პარტიისაგან. 1949 წელს გახდა სენატორი ტეხასის შტატისაგან, ხოლო 1953 წელს — დემოკრატთა ლიდერი სენატში.

1960 წელს ლ. ჯონსონი ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

ამერიკა-ვიეტნამი

ამერიკელ ჯარისკაცთა ბრძოლა ვიეტნამელ პარტიზანებთან

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკელ ჯარისკაცებს ბრძოლა ეწოდა ვიეტნამელ პარტიზანებთან ბინ ბინ ბინ

ᲖᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ Მ᭭ᲬᲔᲠᲐᲚᲡᲐ, ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ. ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲘᲜᲘᲜᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ, ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲛ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ.

„ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲢᲧᲔᲚᲘ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲐᲯᲐᲨᲘᲠᲔᲑᲡ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲐᲠᲐᲠᲘᲗᲮᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲗᲐᲕᲔᲡ. „ᲡᲘᲜᲘᲡ ᲨᲣᲜᲘᲡᲒᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘ ᲚᲔᲝᲜᲝᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗ ᲤᲘᲜᲘᲗᲘ ᲗᲥᲕᲐ: „ᲡᲘ ᲨᲣᲜᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ირაკლი აბაშიძის ლექსების ახალი წიგნის გამო

პალესტინა, პალესტინა!

უკვე დიდი ხანია ჩვენს პლანეტაზე აღარსად მოიძებნება ე. წ. თეთრი ლაქები; სად, რომელ კუნჭულში არ შეაღწია საოკეანო ხომალდმა თუ ხიფათის-მაძიებელი მეზღვაურის პატარა ნავმა, ავტომანქანამ თუ თვითმფრინავმა, მატარებელმა თუ ქვეითად მოხეტიალე ტურისტმა. გეოგრაფიამ ამოხსნა დედამიწის ყველა საიდუმლოება და დღეს მეშვიდე კლასის ფრიადოსანმა მეტი იცის, ვიდრე სტრაბონმა და პტოლემეიმ იცოდნენ.

მაგრამ ასევე როდია საქმე ისტორიის მეცნიერებაში; შორეულ საუკუნეებს ასე ადვილად ვერ მისწვდები. იქ ზომძლავრი საჰაერო ლაინერით, ათიათას ცხენისძალიანიც რომ იყოს, მაინც ვერ შეაღწევ, თვით უზუსტესი რადიოლოკატორის ეკრანიც იქ ვერაფერს აღმოაჩენდავს, ვერაფერს დაგანახვებს. მართალია, აქაც ბევრი რამ ვიცით, ბევრი იკვლია და ეძებს ადამიანმა და ბევრ საიდუმლოს აჰხადა ფარდა, მაგრამ ზოგ რამეს ჯერ ისევ საუკუნეების ნისლი და ბურუსი ჰფარავს.

ადამიანის აზრს კი რა დააცხრობს, რა მოასვენებს — მას უნდა ყველაფერი იცოდეს; ამ დაუცხრომელმა წყურვილმა ბევრი ისეთი რამ გახსნა და სამზეოზე გამოიტანა რუსთაველის ბიოგრაფიაში, რაზედაც ადრე წარმოდგენაც არა გვქონდა. კერძოდ ბევრი რამ გვითხრა რუსთაველის სურათის ამასწინანდელმა აღმოჩენამ; ახლა, როცა ეს ამბავი უკვე დამთავრებულია, და ჩვენ ერთხელ კიდევ ვიხსენებთ და თვალს გავადევნებთ ამ ძიების მთელ პროცესს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს რეჟისორული ლაინერი, რომელსაც ქართველი აკადემიკოსები მიჰყავდა იერუსალიმში, მიფრინავდა არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც, გარდასულ საუკუნეებში მიფრინავდა; და როცა ირ. აბაშიძის ლექსების ახალი წიგნის კითხვას ვამთავრებთ, ვიმეორებ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ პოეტი ისე მიდიოდა პალესტინაში, თითქოს სურათისთვის კი არა, ცოცხალი რუსთაველის სანახავად წასულიყოს. პოეზია ოცნებაა, მუშწდომელის მიწვდომაა და ირ. აბაშიძის ამ ლექსების მომხიბვლელობაც ამაშია, რომ პოეტს იმდენი უტრიალია იერუსალიმის ტაძარში, მანამდე არ მოშვებია და არ დახსნია უტყვ და მდუმარ სვეტებსა თუ ქვებს, ვიდრე არ აულაპარაკებია ისინი; ლექსსა და ოცნებას უზარმაზარი ძალა აქვთ, მათ შეუძლიათ ქვაც აიძულონ და აამეტყველონ.

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს ირ. აბაშიძის პოეზიას, გვახსოვს როგორ მძაფრად ეღერკა მისი ხმა ომის დღეებში; მშვიდობის წლებშიც მან მოძებნა სიცოცხლისა და სულიერი სინათლის დამამკვიდრებელი ხმები; ეს ყველაფერი ბევრჯერ აღუნიშნავს ჩვენს კრიტიკას და კარგად არის ცნობილი; აქ კი ის გვინდა ვთქვათ, რომ ირ. აბაშიძის ლექსების ახალ წიგნს მართლაც უჩვეულო ბიოგრაფია აქვს, ან უფრო ზუსტად, უჩვეულო ბედი ხვდა წილად. დიდი ხნით ადრე პოეტმა, ასე ვთქვათ, ფანტაზიის სფეროში, მსოფლიოს გზებზე დაიწყო ძებნა რუსთაველის ნაკვალევისა, დაიწყო ლექსით „რუსთაველის სახე კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში“. ეს იყო თითქმის ოცდაათი წლის წინათ, საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე. ირაკლი აბაშიძე მაშინ ჭაბუკი იყო და, როგორც ამას ამ ლექსიდან ჩანს, მგონი არც ელოდა, თუ მოსკოვში სტუმრად ჩასულსაც მასპინძლად იქ რუსთაველი დაუხვდებოდა. ამიტომ ესოდენი განცვიფრებით არის აღსავსე მისი შეძახილი: „ეს იყო შოთა... უცებ ღელვა და ერუსტელი, უცებ თვალებში ბენდნერი ალმასის წვეთი, კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი და ტრიბუნასთან დაიკავა დარბაზის სვეტი“.

მას შემდეგ მთელი ოცდაათი წელი გავიდა და მერე როგორი, ოცდაათი წელი, როდეს ყელამდე აღსავსე ქარიშხლებით, შფოთით და მათ შორის უმძაფრესი ომით, მთელ მსოფლიოს რომ აზანზარებდა. პოეტი თავის გზებზე დაჰყავდა ისტორიის ამ მრისხანე ქარიშხალს და ამასაც გულით თან დაჰქონდა თავისი ძველი ოცნება რუსთაველზე, მარტო თავისი კი არა, ყველა ჩვენგანის, მთელი საქართველოს ოცნება. ირ. აბაშიძეს აქვს ლექსი „ინდოეთის პოეტებს“ — ეს არის უბრწყინვალესი რამ იმ ნაწარმოებთა შორის, რაც აღმოსავლეთზე დაწერილა მარტო ჩვენში კი არა, მთელ მსოფლიო პოეზიაში. აქ სტრიქონებს სწვავს აღმოსავლეთის მტხუნვარე მზე, უთვალავ ფერით რომ აუბრელებია სამყარო. ეს ცეცხლი, ეს პოეტური აღგზნება სითამამეს აძლევს ქართველ ოსტატს მუშაობაზე გამოიწვიოს ინდოეთის პოეტები:

მთვარიან ცისქვეშ
გავიფინოთ მოლზე ნაბადი,
მერე თუნდ დაგწყდეთ,
თუნდ დაგვადგეს თავზე აისი,
გამომიყვანეთ ლექსში
თქვენი მურადადი,
თქვენი მაჰმუდი,
სარდარ ჯაფარი,
ალმად ფაისი.

ჩვენმა მკითხველმა უკვე კარგად იცის რა არის მუშაობა — ეს არის თვდაგიწყებული ბრძოლა სიტყვისა და ხმის ოსტატებისა; და ამ ბრძოლაში ჩაერევა ქართველი პოეტი და შორიდან მას დიდი წინაპრის აჩრდილი ამხნევებს:

იქნებ ეგ მიწა
ჩემს სიმღერას კიდეც ელოდა,
იქნებ ხმაც იცნოს
მესხეთიდან ჩამოტანილი;
ახალ ინდოეთს
მე ვუშღერი სარუსთველოდან,
როგორც უმღერის
თქვენი ჰინდი, თქვენი თამილი.

მთელ ამ წლების მანძილზე თითქოს გული უგრძნობდა, გუმანით ხვდებოდა პოეტი, რომ მისი ეს ფანტაზია, მისი ეს ძებნა რუსთაველის ნაკვალევისა ხან განგის მიდამოებში, ხან არაბეთის ზღვის სანაპიროებთან და კიდევ ვინ მოსთვლის სად — ერთხელ სინამდვილედ იქცეოდა და ის მართლაც წაადგებოდა რუსთაველს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე.

ხალხისა თუ მისი კულტურის ისტორიაში ყოველი ახალი საიდუმლოების გახსნას ბუნებრივად, თან ახლავს, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღმოჩენის სიხარული. მე აქ აღარ ჩამოვუთვლი მკითხველს, თუ რას განიცდიდნენ შლიმანი თუ ევანსი, კარტერი თუ კარნარვონი, შამპოლიონი თუ რაულინსონი, როცა კაცობრიობის კულტურას რაღაც ახალს შესძენდნენ ხოლმე — ეს ყველაფერი ცნობილია თუნდაც კ. კერამისა და ე. დოლჰოფერის წიგნებიდან; მაგრამ მინდა მკითხველს გავახსენო ის გულის თრთოლვა, ის შინაგანი და საოცრად გაგონოს, უკანასკნელი ამოკვნესა რუსთაველისა, ამ კედლებს რომ შემოესმათ ოდესღაც.

მომდევნო ლექსში „ვინ იცის როგორ მელის ვარძია“ დახატულია საქართველო, რომელიც გულის თრთოლვით ელის ცნობას შორს წასულსა და დაკარგულ წინაპარზე. ცნობას ელის ვარძია, ელიან თმოგვის კედლები, ხერთვისი, მაღალი მესხეთი, მტკვრის ცაში მოსრიალე მერცხლები და ველის ვარდებზე დაფრქვეული ნამი.

რუსთაველის სამყაროს შეცნობის, მის სულში ჩახედვის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა მესამე ლექსი ამ ციკლისა — „ხმა ჯვრის მონასტრის გალავანთან“. აქ ავტორი ლირიკული წიაღსვლებიდან ფილოსოფიის სფეროში გადადის და გვიჩვენებს პროტესტის სულით გამსჭვალულ რუსთაველს — ამაყსა და შეურიგებელს, ქრისტეს ქედს რომ არ უხრის თვით მისსავე სახლში — იერუსალიმის ტაძარში; „ამის დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან ამინ“ — წარწერილია სურათზე; მაგრამ ჩვენ გვინდა და გვიყვარს ქედმოუდრეკელი და გულზეიდი რუსთაველი და ამ ლექსის მომხიბვლელობაც ის არის, რომ რუსთაველი აქ სწორედ ასეთია:

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემს დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგანს
მე მებოძა
ეს საბოძველი, —
შენ მთხოვდი თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

კაცობრიობის ყველაზე საუკეთესო შვილები ოდითგანვე იბრძოდნენ იმისათვის, რათა ადამიანი გაეთავისუფლებინათ ყოველგვარი მონობისაგან, ყოველგვარი ბორკილისაგან, პირველ რიგში იმ ბორკილისაგან, რომელიც რელიგიურმა რწმენამ დაადო ადამიანის გონებას; მეთვრამეტე საუკუნეში ლუდვიგ ფოიერბახმა ვეებერთელა წიგნი დაწერა იმის ნათელსაყოფად, რომ მორწმუნე ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს ის, მაინც მონაა; და გერმანელმა ფილოსოფოსმა ვერ მოძებნა უკეთესი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ ამცირებს ადამიანს მონის სულისკვეთება, ვიდრე გენერალ მინიხის ადიუტანტის სიტყვები: „როდესაც ადიუტანტი ვიყავი, უფრო დიდ ადამიანად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ახლა, როდესაც მე თვითონ ჯარის სარდალი ვარ“. ეს უკვე მეთვრამეტე საუკუნეა და მაინც აქაც კი თავისუფალი კაცი მონას შენატრის, სარდალი ადიუტანტის, მსახურის უფლებებს მისტირის; ეს მეტად ტიპიური იყო, ასე აჩვენდა, ამას ასწავლიდა ქრისტიანობა მთელ კაცობრიობას საუკუნეების მანძილზე. რუსთაველმა კი მეთორმეტე საუკუნეში გამოაცხადა ადამიანის გონების სრული ემანსიპაცია და ამით დაასწრო მთელ დასავლეთ ევროპას რენესანსისა და ადამიანის გონების განთავისუფლებისაკენ ბრძოლის გზაზე. ამიტომ ხდება გასაგები აზრი ვრცელი ნაშრომებისა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ რენესანსი დაიწყო აღმოსავლეთში, დაიწყო საქართველოში ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ევროპას შუა საუკუნეების ღრმა ძილით ეძინა.

მაგრამ გავყვეთ ლექსებს — „ხმა ზეთისხილის ბაღში“, „ხმა სამრეკლოსთან“, „ხმა თეთრ სენაკში“ — აქ ჩვენ ყველგან ვხედავთ შეყვარებულ რუსთაველს, თვით საკვდილის წუთებშიც შეყვარებულს მაწყსე, საქართველოზე, თამარ დედოფალსა და ჩვენი ქვეყნის სიცოცხლეზე. ირაკლი აბაშიძემ კარგად შეიგრძნო და კარგად გადმოსცა სიდიუმლო რუსთაველის უკვდავებისა — მისი უმეტესობა ჰუმანიზმი, „თავისუფლებისმოყვარეობა, მისი დაუცხრომელი ლტოლვა სიცოცხლისა და სილამაზისადმი, მისი რწმენა ადამიანის გულისა და გონების ძლევამოსილებისადმი. და აქ, პალესტინის მონასტრული მყუდროების, გაცრეცილი სვეტების, მოელა ამ მკვდრთა სამყაროს, ამ სასაფლაოს მიღმა შრიალებს რუსთაველის მუდამ ჭაბუკურად ნორჩი გაზაფხული — ქვეყნად ამოსვლა მწვანისა.

ლექსი „ხმა კატამონთან“ — ეს არის ძალზე შეკუმშულად, მძაფრად გადმოცემული ისტორია ომისა, თუ რამ გაადლებინა საქართველოს საშინელი ქარტეხილებიანი საუკუნეების მანძილზე, როცა ერთ უბედურებას უმალ მეორე მოჰყვებოდა ხოლმე. ისტორიის მატერიალისტური გაგება ფრიად დიდ მნიშვნელას გულს გადაიდება ხოლმე. თავისთავად, ეს ამბავი პოეზიაა გაურითმავადაც, გაულექსავადაც და მით უმეტეს მომხიბვლელი და გულისშემძვრელი ხდება, როცა მას სიტყვის ესოდენ შესანიშნავი ოსტატი გვიხატავს და გვიამბობს.

ირ. აბაშიძის ახალი წიგნი იწყება ლექსით „შენ აქ ხარ“. ეს თითქოს შეჯამებაა, დასკვნაა მრავალწლიანი ძიებისა, მრავალწლიანი ფიქრისა და მოგზაურობისა რუსთაველის ნაკვალევზე.

შენ აქ ხარ,
აქ ხარ,
დასრულდა კვალი,
მშობელი მიწის
ეს მედო ვალი;
აქ შენი მშვიდი
ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა,
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩაქერილ ცეცხლთან,
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.

კვითხულობთ ამ ლექსს და ცოცხლად ხედავთ თვითონ ავტორს, ინდოსა და განგის, ფენჯაბისა და ლახორის, საერთოდ აღმოსავლეთის დაულეველი გზების შემდეგ რუსთაველის კვალი რომ უპოვნია და ახლა მიმოდის მონასტერში — ხან სვეტებთან შეჩერდება, ხან გალავანთან, დადის და ცდილობს მტვერში იპოვნოს საუკუნეების წინ აღბეჭდილი ნატერფალი — იქნებ ვერ წაშალა დრომ; ცდილობს მონასტრის კედლებში ის სიახლე დაინახოს, საუკუნეების წინ აქ რომ ენთო, ცდილობს ის ამოკვნესა გაიგონოს, ამ ეკლესიებს, ამ ეკლესიებს, ამ ეკლესიებს

ლობას ანიჭებს სულიერი კულტურის ფაქტორებს და პოეტიც საკუთრივ მართალია, როცა იერუსალიმში გადახვეწილ მოხუც გენიოსს წარმოთქმევინებს სიტყვებს დედაენის როლზე საქართველოს ისტორიაში:

— ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ.
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთან ტკბილო
მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ეს საქართველოს ისტორიაა, რომლის მთელ მანძილზე დედაენა მართლაც „ჭირთა ჩვენთა ტკბილი მალამო“ იყო.

თავის დროზე ბაირონმა პოემაში „დანტეს წინასწარმეტყველება“ დიდ იტალიელ პოეტს ათქმევინა: „ჩემს სხეულს სამშობლოს მიწა მიიბარებს, ჩემი სული კი მის ენაში დარჩებაო“; ი ეს არის უკვდავება; ასე დარჩა დანტეს სული მას ეყო შინაგანი ძალა თავისი ხალხის იტალიურ ენაში, პუშკინის სული — რუსულ ენაში, ხოლო რუსთაველის სული ასევე ცოცხალია ქართულ ენაში; და ვინც რუსთაველი იცის, ვისაც ის უყვარს, გრძნობს კიდევაც მას არა მარტო „ვეფხისტყაოსანში“, არამედ მთელ ჩვენს ენაში, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ლექსებში.

გრძნობს — დედის, მეგობრის, სატრფოს საუბარში, მზით განთებულ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, ყველგან, სათაოა ადამიანის თვალი და ყური მისწვდებიან.

რა უნდა ვთქვათ დასასრულს: ირ. აბაშიძის ახალი ლექსების წიგნი — „პალესტინა, პალესტინა“ ჩვენი ხალხის ფიქრია და ოცნება რუსთაველზე, ეს ჩვენი ნანატრია, ჩვენი ხალხის ღიაგული და სიყვარულია; აქ მეტყველებს ჩვენი ისტორია, ჩვენი ენა, რომელშაც ესოდენ ლაღად გაშალა ფრთა ჩვენს დიდ საბჭოთა ეპოქაში; და ყოველივე ამის გამო თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ამ წიგნში თავისი ნათელი გამოხატულება ჰპოვა ხალხურობის პრინციპმა, რეალისტური პოეზიის სინთეზემ და სიადამიანემ; დიდ, ძლიერ დიდ თემას მოეჭიდა პოეტი, და რაოდენ სასიხარულოა, რომ ფიქრის, მის გულში მკვიდრად ჩაბუდებული სიყვარულის გადმოსაცემად.

ირ. აბაშიძის ლექსების მთელი წიგნი გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის ფრნედა გრძნობით, ვინაიდან ჩვენი პატრიოტიზმი გულისხმობს მარად გვიყვარდეს წარსული, აწყო და მომავალი სამშობლოსი, გვიყვარდეს ის, რითაც სუნთქავს, ცოცხლობს და ამაყობს ჩვენი ხალხი, გვიყვარდეს მისი ყველაზე სანუკვარი საუნჯე. პოეტის ლექსების ახალი წიგნი ყოველივე ამის კეთილი შეხსენებაა მკითხველისადმი.

გიორგი ნატროშვილი.

მოსკოვის სახელმწიფო ანსამბლმა — ბალეტი ყინულზე დაამთავრა თავისი გასტროლები ჩვენს დედაქალაქში.

მოსკოველმა მეგობრებმა „თოვლის სიმფონიის“ ოცამდე სპექტაკლი გამართეს სპორტის სასახლეში. ეს ლამაზი, მიმზიდველი სანახაობა ათასობით მაყურებელმა ნახა და გულთბილად მიიღო.

ამის ნათელი დადასტურება იყო გამოსათხოვარი საღამო გასტროლების უკანასკნელ დღეს 22 ნოემბერს, რომელიც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გაიმართა.

სტუმრებს მიესალმნენ და თაიგულები გადასცეს თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩმა მოცეკვავეებმა.

დედაქალაქის საზოგადოებრიობის სახელით სპორტის ხასახლის დირექციის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს ანსამბლის კოლექტივს გასტროლებისათვის და წარმატებები უსურვეს მომავალ შემოქმედებით მუშაობაში.

საპასუხო სიტყვაში ჩვენმა სტუმრებმა გამოთქვეს თავიანთი აღტაცება და აღფრთოვანება თბილისელ მაყურებელთა სტუმართმოყვარეობისათვის.

* * *

სურათზე: „ცეკვა ქოლგებით“ მოსკოვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავე ქალთა შესრულებით.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

□ **ზუგდიდის** რაიონის ზედაწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ტერატორიაზე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები, რასაც უფროსი ინჟინერი ვ. ყვანია ხელმძღვანელობს.

სიახლეთა დაბადება

ახლახან მეურნეობას გადაეცა 8-ბინიანი ორსართულიანი 5 სახლი და 4-ბინიანი ორსართულიანი 2 სახლი. სულ მალე მთლიანად დამთავრდება მეურნეობის ტერატორიის ელექტროფიცირება, ცენტრალური დასახლების წყალსადენის შენებლობა, საპლანტაციო გზების გაყვანა-მოპირკეთება.

ვ. ცომაია.

□ **ხაშურის** მე-5 რუსულ საშუალო სკოლას კიდევ ერთი ახალი სასწავლო კორპუსი შეემატა. მასში მოთავსდა I-IV კლასები. ახლა სკოლის ყველა 550 მოწავლე დილის ცვლაში მეცადინეობს. სკოლას აქვს სასწავლო კაბინეტები, სახელოსნოები და სხვა საჭირო მოწყობილობა.

დ. ფარემუზოვი.

კომპოზიტორ არამ ხაჩატურიანის საავტორო კონცერტი

განსაკურთებული ინტერესი გამოიწვია ლენინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის არამ ხაჩატურიანის საავტორო კონცერტმა, რომელიც გაიმართა გუშინ, 23 ნოემბერს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

150-ზე მეტი ნაწარმოების შექმნა შემოქმედებითი მოღვაწეობის 35 წლის განმავლობაში არამ ხაჩატურიანმა. მისი ხელოვნება მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხის ცხოვრებასთან. ხაჩატურიანის მუსიკა გამოირჩევა ცხოველმყოფელობით, ტემპერამენტის სიძლიერით.

ოპერისა და ბალეტის თეატრში ეს საავტორო კონცერტი თავისებური ანგარიში იყო თბილისელების წინაშე. როგორც თვითონ არამ ილიას-ძე ამბობს, თბილისთან დაკავშირებულია მისი პირველი მუსიკალური შთაბეჭდილება, ეს ქალაქი გახდა მისთვის პირველი საფეხური მუსიკის სამყაროში გასასვლელად.

კონცერტის დაწყების წინ მუსიკალური საზოგადოების სახელით არამ ხაჩატურიანს გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი. კონცერტის პირველ განყოფილებაში საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა იუბილარის დირიჟორობით შეასრულა მონუმენტური მეორე სიმფონია.

საღამოს პროგრამაში შეტანილი იყო სამნაწილიანი კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, სოლისტი — მოსკოვის, ბრიუსელის, პარიზის პრაღის მევიოლინეთა სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ვ. პიკაიზენი.

შეასრულა სიმფონიურმა ორკესტრმა ოთხი ცეკვა ბალეტიდან „გაიანე“.

ა. ი. ხაჩატურიანს მიართვეს ყვავილების კალათები.

დარბაზის მქუხარე ოვაციები დამსახურებული შეფასება იყო არამ ხაჩატურიანის ნათელი ხელოვნებისა, რომელსაც აკადემიკოსი ბორის ასაფიევი უწოდებდა ჩვენი მუსიკის რუბენსს.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები გ. ა. გეგეშიძე და შ. ი. ჭანუყვაძე. (საქდესი).

„მეტეხის ჩრდილში“ თელავის სცენაზე

თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ოთარ მამფორიას ორმოქმედებიანი კომედია „მეტეხის ჩრდილში“.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრულად გაფორმა ვ. დონდოლაძემ.

ჰასტინგსში მიელიან „ჭადრაკის დედოფალს“

კომუნისტი

საბადრაკო სამყარო ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობაზე ნონა გაფრინდაშვილის ბრძოლის შთაბეჭდილებებით იყო გატაცებული, რომ ბეევრვიიკის (ჰოლანდია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე ნონამ ახალ შთამაგონებელ გამარჯვებას მიაღწია. მსოფლიოს ჩემპიონმა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა ისე, რომ ყველა პარტიაში გაიმარჯვა. მას მეტოქეობა ვერ გაუწევიან იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ოსტატებმა.

ამ წარმატებას დიდი რეზონანსი მოჰყვა. ეს იმითაც აიხსნება, რომ გაფრინდაშვილმა „შავი დღე“ დაიყენა ბეევრვიიკის საჭადრაკო ფესტივალის მონაწილე ევროპელ ვაუებსაც მსუბუქ პარტიებში.

— ვერა მენჩიკის შემდეგ არასოდეს არ გვინახავს ასეთი ძალის მოჭადრაკე ქალი, — ამბობდნენ ქართველი ჩემპიონის თამაშით გაოცებული ჭადრაკის მეცვიურნი.

და აი შედეგი — საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციაში ნონა გაფრინდაშვილის სახელზე მოვიდა ჰოლანდიის, ინგლისისა და შვეიცის საჭადრაკო ფედერაციების პრეზიდენტთა მიწვევანი ბეევრვიიკის, ჰასტინგსისა და სტოკჰოლმის ვაუთა (!) საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის.

— ეს უდიდესი პატივია, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკე ქალებიდან მხოლოდ ნონა გაფრინდაშვილმა დაიმსახურა, — ამბობს მ. ბოტვინიკი. — მისი თამაში უდიდეს სპორტულ ინტერესს გამოიწვევს.

რასაკვირველია, მსოფლიოს ჩემპიონმა ქმაყოფილებით მიიღო ეს მიწვევა, მაგრამ ნონას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელში მიიღებდა მონაწილეობას, რადგან სამივე ტურნირი 1964 წლის იანვარშია დანიშნული. მსოფლიოს ჩემპიონმა მაინც ამჯობინა თანხმობის დეპეშა გაეგზავნა ჰასტინგსის საახალწლო საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის ორგანიზატორებისათვის.

ჰასტინგსი ინგლისის პატარა საჭადრაკო ზღვისპირა ქალაქია. იგი დაახლოებით ასი კილომეტრით არის დაცილებული ლონდონს. ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბს, რომელიც 1882 წელს დაარსდა, დიდი ტრადიციები აქვს. კლუბს სახელი გაუთქვა 1895 წელს მოწყობილმა პირველმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმდროინდელი მსოფლიოს თვალსაჩინო გროსმაისტერებმა ე. ლასკერმა, ვ. სტეინიცმა, მ. ჩიგორინმა, ზ. ტარაშმა, ჰ. პილსბერიმ და სხვებმა. 1920 წლიდან ჰასტინგსის საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელები სისტემატურად აწყობენ საერთაშორისო ტურნირებს. უკვე გაიმართა 38 ასეთი ტურნირი, რომლებშიც მონაწილეობდა მსოფლიოს თითქმის ყველა ჩემპიონი.

ბასტინგსის ტურნირებს რამდენიმე დაკანონებული თავისებურება ახასიათებს. ტურნირი იწყება წლის ბოლო დღეებში და თავრდება ახალი წლის დამდეგს. ოსტატთა, ანუ მთავარ ტურნირში, როგორც წესი, მონაწილეობს მხოლოდ ათი მოჭადრაკე, რომელთაგან ოთხი-ხუთი უცხოელი გროსმაისტერი ან ზოგჯერ უძლიერესი ოსტატი. ინგლისელ მონაწილეთა ცნობილი ინგლისელი ოსტატები არიან. ყველაზე საყურადღებო კი ის არის, რომ ჰასტინგსის ტურნირში არასოდეს არ მიუწვევიათ უცხოელი მოჭადრაკე ქალი. დღეს ინგლისის საჭადრაკო წრეები არღვევენ ამ ტრადიციას ნონა გაფრინდაშვილის გამო.

შეიძლება ვინმემ თქვას, ჰასტინგსის ტურნირებში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვერა მენჩიკიც ხომ მონაწილეობდა. მართალია, სახელოვანმა ჩემპიონმა თორმეტჯერ თამაშა ჰასტინგსში, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ვერა მენჩიკმა მრავალი შერჩევითი ტურნირი განვლო ექვსი წლის მანძილზე, სანამ იგი დაუშვეს ჰასტინგსის ოსტატთა, ანუ მთავარ ტურნირში. ის, როგორც ჰასტინგსის მკვიდრი, სისტემატურად თამაშობდა კლუბის ჯერ ქალთა, შემდეგ ვაუთა ტურნირებში. ამიტომ სამართლიანია თქვას, რომ ნონა გაფრინდაშვილი ჰასტინგსში ვერ ვიგებდა.

მენჩიკის შემდეგ პირველი მოჭადრაკე ქალია, რომელიც ითამაშებს ჰასტინგსის ვაუთა მთავარ ტურნირში.

ბუნებრივია კითხვა, თუ რა შანსები აქვს ნონა გაფრინდაშვილს ამ მეტად პასუხსაგებ ტურნირში? ჯერჯერობით არ არის ცნობილი ტურნირის მთლიანი შემადგენლობა. ვიცით მხოლოდ, რომ ჩვენი ქვეყნიდან ქართველ ოსტატთან ერთად ითამაშებს მიხეილ ტალი. ამიტომ ძნელია განვსაზღვროთ შესაძლებელი შედეგები. თუმცა ზოგიერთი მოსაზრებით უნდა ველოდეთ წარმატებას.

მართალია, ნონა პირველად მიიღებს მონაწილეობას ვაუთა საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ ვაუთა ტურნირებში თამაშის გამოცდილება მას უკვე აქვს. მან ხომ მონაწილეობა მიიღო საქართველოს 1962 და 1963 წლის პირველობებში. ამ ტურნირებში მსოფლიოს ჩემპიონმა რამდენიმე საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა ჩვენს ოსტატებთან და საპრიზო ადგილებიც კი დაიკავა. 1962 წლის პირველობაში კი ნონამ ვაუთა შორის ოსტატობის კანდიდატს წოდებაც დაისაკუთრა. ასეთი მაღალი თანრიგი ჩვენს ქვეყანაში თითოოროლა ქალს თუ აქვს.

ცნობილია, რომ უკვე თითქმის ორმოცი წელია ინგლისს არა ჰყავს თავისი გროსმაისტერი, ოსტატები კი ნაკლებად ჩანან საერთაშორისო სარბიელზე. ჭადრაკის გამოჩენილი მიმომხილველების აზრით, საქართველოს ოსტატები, რომლებსაც ნონა გაფრინდაშვილი ღირსეულ კონკურენციას უწევს, არაფრით არ ჩამოუვარდებიან თავიანთ ინგლისელ კოლეგებს. ამიტომ მოსალოდნელია ჩვენი საამაყო მოჭადრაკე ქალი მათაც ღირსეულად გაუმკლავდეს.

ვერა მენჩიკმა 1929-30 წლების შემდეგ ჰასტინგსის ოსტატთა ტურნირში შვიდჯერ მიიღო მონაწილეობა. საუკეთესო შედეგი მისთვის V-VIII ადგილების გაყოფა იყო, მაგრამ არ უნდა დავიწყოთ, რომ ამ ტურნირებში, გარდა ინგლისელი ოსტატებისა, სისტემატურად მონაწილეობდნენ ა. ალიოხინი, მ. ეივე, ს. ფლორი, ხ. კაპაბლანკა, ზოგჯერ კი მ. ბოტვინიკი, ხ. რეშევსკი, ა. ლილიენტალი და სხვა ცნობილი გროსმაისტერები. მიუხედავად ამისა, ვერა მენჩიკს რამდენიმე „სენსაციური“ პარტია ჰქონდა. მაგალითად, მან ორჯერ დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ეივე. ნონა გაფრინდაშვილს არასოდეს არ უთამაშნია სერიოზული პარტია გროსმაისტერებთან.

ჰასტინგსი ელის ნონა გაფრინდაშვილს. ყველა კონტინენტის ჭადრაკის მოყვარულები, განსაკუთრებით კი ქალები, მოუთმენლად მოელიან ჰასტინგსის საახალწლო საერთაშორისო ტურნირის დაწყებას.

— არ დავიშურებ ძალას, რათა სანიმუშოდ მოვემზადო ამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირისათვის, ვეცდები მთელი მონდომებით ვიბრძოლო წარმატებისათვის, — ამბობს ნონა. და ჩვენ გვჯერა მისი.

კალათბურთელთა ტურნირი თბილისში

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში რუმინეთის, გდრ-ს და თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდების მონაწილეობით. მატჩი თბილისის „ბურევესტნიკსა“ და ტსკა-ს (გდრ) გუნდებს შორის დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით 72:42.

„დინამო“ თბილისი „ტორპედო“ მოსკოვი 4:1

გუშინ, 23 ნოემბერს ჩემპიონატის მიწურულში თბილისის დინამოელებმა მოსკოვში დაამარცხეს დედაქალაქის „ტორპედო“ ანგარიშით 4:1.

როგორ მიმდინარეობდა ეს მატჩი?

მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა — მეტოქეებმა, განსაკუთრებით თბილისელებმა, აწვნეს ლამაზი ფეხბურთი. დინამოელებმა მოწინააღმდეგეს თავიდანვე ტემპიანი ბრძოლა შესთავაზეს და აი მე-8 წუთზე ლამაზი კომბინაციის შემდეგ მეტრვეელის ჩინებულ დარტყმას ვერაფერმა უშველა — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ. ტაიმის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე გათამაშდა ეფექტური კომბინაცია, რომელსაც მოჰყვა კალოევის თავური დარტყმა და გოლი.

მეორე ნახევარში დინამოელებს არ შეუნელებიათ ტემპიანი ბრძოლა. დასაწყისშივე რამდენიმესელთან კომბინაციას მოჰყვა ბ